*დანართი*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

მილენიუმი
სასწავლო უნივერსიტეტი


**ექსპერტთაჯგუფისწევრები**

თავმჯდომარე:ნინო ღაღანიძე, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო

**წევრები:**

ნიკოლოზ ფარჯანაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი,საქართველო.

გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო.

დავით ტეფნაძე, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო


თბილისი
2020

[1]**შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისშესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

**ავტორიზაციის პირობების შემოწმებისმონიტორინგის დასკვნისრეზიუმე**

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით შემოწმდა ინსტიტუციის შესაბამისობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რამდენიმე სტანდარტის კომპონენტთან და მათი შეფასება შემდეგნაირია:
2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია
2.2 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები-ნაწილობრივ შესაბამისობაშია
3.3 სწავლის შედეგების შეფასება - არ არის შესაბამისობაში,
5.1სტუდენტები და სტუდენტთა უფლებები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები- ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

**ზოგადიინფორმაციადაწესებულებისშესახებ**

| | |
|---|---|
| სახელწოდება | მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შპს |
| სახე | კოლეჯი |
| საიდენტიფიკაციო კოდი | **204379083** |
| ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა) | საქართველო, თბილისი, ნაძლადევის რაიონი, ქსნის ქ., N35 |
| ვებ-გვერდი | www.nu.edu.ge |
| ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | რეორგანიზაციის შედეგად ავტორიზაციის ვადად განესაზღვრა 1 წელი |
| გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი | 2019 წლის 12 ივლისი, გადაწყვეტილება # 25 |
| ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი | 2020 წლის 12 ივლისი |

**რაოდენობრივი მაჩვენებლები**

**პროგრამები**[2]

| **უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა** | |
|---|---|
| ბაკალავრიატი | 11 |
| მაგისტრატურა | 0 |
| ერთსაფეხურიანი | 0 |
| დოქტორანტურა | 0 |
| მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) | 0 |
| ქართულ ენაში მომზადების | პროგრამას ინსტიტუცია ახორციელებს, რაც არ დასტურდება ემისის 14.01.2020 მონაცემებით |
| აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა | 1 |
| საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა | 0 |
| ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3] | 0 |
| გაცვლითი პროგრამების რაოდენობა | 0 |

**სტუდენტები**

| სტუდენტებისარსებული ზღვრული რაოდენობა | | | |
|---|---|---|---|
| | აქტიური | შეჩერებული | პროგრამის დასრულების მაჩვენებელი |
| სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა | 338 სტუდენტი (ემისის 14.01.2020 | 1313 (ემისის 14.01.2020 | |

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება
[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

| | | | |
|---|---|---|---|
| | მონაცემებით)<br><br>287 სტუდენტი (ინსტიტუციის მიერ ვიზიტის პირველი დღის ბოლოს (14.01.2020) მოწოდებული მონაცემებით) | მონაცემებით) | |
| ბაკალავრიატი | 338 (ემისის 14.01.2020 მონაცემებით) | 1313 (ემისის 14.01.2020 მონაცემებით) | |
| მაგისტრატურა | 0 | 0 | |
| ერთსაფეხურიანი | 0 | 0 | |
| დოქტორანტურა | 0 | 0 | |
| მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) | 0 | 0 | |
| უცხოელი სტუდენტების რაოდენობა | 110 (ემისის 14.01.2020 მონაცემებით)<br><br>50 (ინსტიტუციის მიერ ვიზიტის პირველი დღის ბოლოს (14.01.2020) მოწოდებული მონაცემებით) | 1124 (ემისის 14.01.2020 მონაცემებით)<br><br>1184(ინსტიტუციის მიერ ვიზიტის პირველი დღის ბოლოს (14.01.2020) მოწოდებული მონაცემებით) | |
| სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა | 0 | 0 | |

### პერსონალი

| **მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ** | |
|---|---|
| უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი) | |
| **სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა** | |
| - პროფესორი | 12 |
| - ასოცირებული პროფესორი | 32 |
| - ასისტენტ პროფესორი | 19 |
| - ასისტენტი | 12 |
| **სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა** | |
| - მეცნიერი | 0 |
| - პოსტდოქტორანტი | 0 |
| **სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა** | 40 (მათ შორის 7 სხვაგანაც არის დასაქმებული, ემისის მონაცემებით) |
| - აფილირებული პროფესორი | 10 (მათ შორის 4 სხვაგანაც არის დასაქმებული, ემისის მონაცემებით) |
| - აფილირებული ასოცირებული პროფესორი | 14 (მათ შორის 1 სხვაგანაც არის დასაქმებული, ემისის მონაცემებით) |
| - აფილირებული ასისტენტ პროფესორი | **4** |
| - აფილირებული ასისტენტი | 11 (მათ შორის 2 სხვაგანაც არის დასაქმებული, ემისის |

| | |
|---|---|
| | მონაცემებით) |
| სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა | 0 |
| კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა | 0 |
| სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი | 41 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი | 21 |

**შენობა-ნაგებობათასაერთოფართი**

| | |
|---|---|
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში | - |
| დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში | - |
| დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში | - |

## მოკლედაღწერეთავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგისვიზიტი

**აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 13 იანვრის N MES 82000022508 ბრძანების თანახმად შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შპს მილენიუმის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით.

მონიტორინგის საფუძველი გახდა განათლების ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირებული განცხადება მილენიუმის სასწავლო უნივერსიტეტში არსებული უცხო ქვეყნის (კერძოდ, აზერბაიჯანის ) მოქალაქე სტუდენტების სწავლის შესახებ, რომელთაც არ იციან ქართული ენა, რაც შეუძლებელს ხდის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა უნივერსიტეტი გასცემს მათზე უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს-დიპლომს. ასევე დაფიქსირებული იყო, რომ ინსტიტუციის მიერ ხდება იმ სტუდენტების შეცდომაში შეყვანა, რომელთაც ვერ დაძლიეს ქართული ენის შემსწავლელი პროგრამა - განმცხადებლის მიხედვით, ამ სტუდენტებს ეუბნებიან, რომ ისინი გადაყვანილი არიან ბაკალავრიატის პირველ კურსზე და ითხოვენ მათგან სწავლის საფასურის გადახდას.

განცხადების შინაარსიდან გამომდინარე,ექსპერტთა ჯგუფის მოსამზადებელ შეხვედრაზე გადაწყდა შემოწმებულიყო ინსტიტუციის შესაბამისობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2.1 2.2, 3.3, 5.1, 5.2 სტანდარტებთან, რომლებიც ეხება ინსტიტუციის ორგანიზაციულ სტრუქტურას და მართვას, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, სწავლის შედეგების შეფასებას, სტუდენტთა უფლებებესა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს.ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 14 და 15 იანვარს.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ვიზიტის ბრძანება გამოიცა და ინსტიტუციას გაეგზავნა 2020 წლის 13 იანვარს, რომლის მიხედვითაც ინსტიტუციას ავტორიზაციისექსპერტისაცილებაშეეძლობრძანებისგაცნობიდან 2 დღისვადაში.მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციის წარმომადგენლების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის კონკრეტული წევრის მიმართ აცილება არ ქონდათ, 2020 წლის 14 იანვარს ინსტიტუციის წარმომადგენლებმა ცენტრს მაინც მიმართეს ვიზიტის გადადების შესახებ, რათა შეძლებოდათ ექსპერტის აცილებისთვის განკუთვნილი 2 დღის გამოყენება. ინსტიტუციას განემარტა, რომ ინსტიტუციაში ვიზტის გადადება ვერ მოხდებოდა, მაგრამ თუ ვიზიტის განმავლობაში მათთავის ცნობილი გახდებოდა ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ, მათ შეეძლოთ ექსპერტთა ჯგუფის შესაბამისი წევრის მიმართ აცილების დაფიქსირება, რაც ვიზიტის განმავლობაში არ მომხდარა.

ვიზიტის მიმდინარეობისას შედგა შეხვედრები უსდ ადმინისტრაციასთან, ცალკეული სამსახურების წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან.

ვიზიტის მიმდინარეობისას შედგა შეხვედრები უსდ ადმინისტრაციასთან, ცალკეული სამსახურების წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, საგანმანათლებლო პროგრამების

ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი დაემთხვა საბოლოო გამოცდების პერიოდს, 14 იანვარს ინსტიტუციაში ვერცერთ სტუდენტთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფმა ინსტიტუციას სთხოვა 15 იანვრისთვის დაეორგანიზებინა შეხვედრა ინსტიტუციის სტუდენტებთან, რომლებიც იყვნენ აზერბაიჯანის მოქალაქეები. ამისათვის ინსტიტუციას გადაეცა აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტთა სია, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (ემისის)2020 წლის 14 იანვრის მონაცემებით. თუმცა, ვიზიტის მეორე დღისათვის (15 იანვარს),ემისის 2020 წლის 14 იანვრის სიაში არსებული აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტთა დიდი უმრავლესობა აღმოჩნდა სტატუსშეჩერებული. ინსტიტუციის წარმომადგენელთა განმარტებით, ამის მიზეზი იყო ის, რომ ემისის ბაზაში მათ დაგვიანებით ასახეს ინფორმაცია სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ, რაც უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 10 იანვრისბრძანებებით განხორციელდა. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა მხოლოდ სამ აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტთან მოახერხა შეხვედრა, რომელთაგანაც ერთს გაუჭირდა კურსების დასახელება, რომელსაც მიმდინარე სემესტრში გადიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტუდენტები სასაუბრო დონეზე ფლობდნენ ქართულ ენას, ეს რაოდენობა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს გაეკეთებინა დასკვნა, რომ ინსტიტუციის მიერ განხორციელებულ ყველა პროგრამაზე სწავლობენ სტუდენტები, რომლებიც სათანადო დონეზე ფლობენ სწავლების ენას, რადგან ინსტიტუციური შეფასებების ფორმატი 10-12 სტუდენტთან გასაუბრებას ითვალისწინებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფს ესაჭიროებოდა შეხვედრა, აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტებთან, რომელთაც გავლილი არ ექნებოდათ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, რაც ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა. ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტთა ჯგუფმა ინსტიტუციის წარმომადგენლებს ასევე შესთავაზა ონ-ლაინ საშუალებების გამოყენება აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტებთან; ინსტიტუციის წარმომადგენლები აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტთა საკონტაქტო ინფორმაციას იღებდნენ სტუდენტთა პირადი საქმეებიდან, რამოდენიმე სტუდენტთან ზარის განხორციელების შემდეგ ნათელი ხდებოდა, რომ ზარის მოპასუხე პიროვნება არ იყო თავად სტუდენტი, ინსტიტუციის წარმომადგენლის შენიშვნა იყო ასეთი, რომ მოპასუხე პირები შესაძლოა ყოფილიყვნენ აგენტები, რომლებიც თანამშრომლობენ ინსტიტუციასთან და მოიზიდავენ აზერბაიჯანის მოქალაქეებს შპს მილენიუმის სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლებლად. ინსტიტუციის წარმომადგენლებმა მოახერხეს დაკავშირება სოციალური მედიის საშუალებით აზერბაიჯანის მოქალაქე ერთ-ერთ სტუდენტთან, მაგრამ მასთან ინტერვიუ არ განხორციელდა, რადგან ამ სტუდენტის პირად საქმეში არსებული პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლზე ფოტოს დაბალი ხარისხი არ იძლეოდა პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

ვიზიტის მიმდინარეობისას ჯგუფის მოთხოვნით უსდ წარმოადგინა მარეგულირებელი დოკუმენტები, ინსტიტუციის მიერ წარმოებული სტუდენტთა რეესტრი, სტუდენტთა სტატუსის შეჩერების ბრძანებები და სხვა დოკუმენტაცია.

ჩატარებული ინტერვიუების და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე ინსტიტუციის შესაბამისობა წინასწარ განსაზღვრულ სტანდარტის კომპონენტებთან შემდეგნაირად შეფასდა: სტანდარტის კომპონენტი2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია, სტანდარტის კომპონენტი2.2 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია, სტანდარტის კომპონენტი3.3 სწავლის შედეგების შეფასება - არ არის შესაბამისობაში, სტანდარტის კომპონენტი5.1 სტუდენტები და სტუდენტთა უფლებები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია, სტანდარტის კომპონენტი5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია

**მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:**

☐ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: ____________________

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: ____________________

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისმიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: ____________________

☑ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში

| შეფასების განხორციელების თარიღი: 14-15 იანვარი 2020 წელი | |
|---|---|
| უსდ-სათვისბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია): | აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეებისტანდარტისკომპონენტთანშესაბამისობის თვალსაზრისით: |
| - | - |
| | |
| | |
| | |

# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

## რეკომენდაციები

- აუცილებელია, დაზუსტდეს უსდ-ს სახელწოდება, რათა დაზუსტდეს უსდ საგანმანათლებლო დაწესებულების რომელ სახეს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ს სახელწოდება არ იყოს დამაბნეველი.
- აუცილებელია, უსდ-ს საქმისწარმოების სამსახურში საქმისწარმოების პროცესების გამართვა და მონიტორინგის მექანიზმის შემოღება, რათა უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დროულად და ზუსტად აისახოს უსდ-ს ინფორმაცია, მაგ. აქტიური სტატუსისა და სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია.
- აუცილებელია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ეფექტური მექანიზმებით უზრუნველყოს დაწესებულების ყველა სტრუქტურული ერთეულის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უფრო აქტიურად ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, ხარისხის კულტურის გასავითარებლად.
- აუცილებელია სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული შეფასების ფორმების ზედმიწევნით შესაბამისობაში მოყვანა რეალურ საგამოცდო პროცესთან.
- აუცილებელია სტუდენტური გამოკითხვების სტიმულირება და გააქტიურება (გამოკითხვა ელექტრონულად მიმდინარეობს), რათა სტუდენტების მთელი კონტინგენტი ჩართული იყოს პროცესში.
- აუცილებელია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულ რეჟიმში ამოწმებდეს სასწავლო კურსებში მითითებულ საკონტაქტო ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად აახლებდეს მას.
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ადეკვატური შეფასება თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- დაწესებულებამ უნდა დაიცვას თავის მიერ შემუშავებული და დაინტერესებული მხარეების მიერ გაზიარებული შეფასების პროცედურები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, გამოცდების ჩატარების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კომპონენტები და ფორმები);
- შეფასებისა და აპელაციის წესები უნდა იყოს ქმედითი და გამოყენებადი;
- სასწავლო კურსის სილაბუსები უნდა იყოს შემუშავებული მათი განმახორციელებლების მიერ და მითითებული რეკვიზიტები უნდა აძლევდნენ სტუდენტებს უკუკავშირის შესაძლებლობას;
- ხარისხის სამსახურის ფუნქცია შეფასებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით შეფასების სილაბუსის მოთხოვნებთან შესაბამისობის ასპექტით, უნდა იყოს ქმედითი და არა ფორმალური;
- გამოცდის შედეგები მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, გონივრული ვადით, უნდა იყოს შენახული.
- განახლდეს სასწავლო დაწესებულების ვებ-გვერდი და მასზე განთავსდეს „მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტის“ მარეგულირებელი დოკუმენტები
- მიეცეთ სტუდენტებს საშუალება გადაიხადონ სწავლის საფასური კრედიტების/საგნების შესაბამისად.
- სტუდენტურითვითმმართველობაუნდაიყოსუფრომეტადაქტიურიდაცნობადიუსდ-ში.
- უსდ-ში უნდ არსებობდეს კარიერული წინსვლისა და დასაქმების სამსახური
- უსდ-მ უნდა უზრუნველყოს სტუდენტების დასაქმების სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და დამუშავება

### რჩევები

- სასურველია უნივერსიტეტის სტრუქტურაში გადაიხედოს ცალკეული სტრუქტურული ერთეულების არსებობის აუცილებლობა, რათა არ მოხდეს სამსახურებს შორის ფუნქციების გადაფარვა, რაც ხელს შეუწყობს რესურსების ოპტიმიზაციასა და მათ ეფექტურ გამოყენებას.

### საუკეთესო პრაქტიკა

## დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილადშესაბამ ისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | უსდ-ისმისიადასტრატეგიულიგანვითარება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.1 | უსდ-ისმისია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.2 | სტრატეგიულიგანვითარება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2. | უსდ-ისორგანიზაციულისტრუქტურადამართვა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ |
| 2.1 | ორგანიზაციულისტრუქტურადამართვა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ |
| 2.2 | ხარისხისუზრუნველყოფისშიდამექანიზმები | ☐ | ☐ | ☑ | ☐ |
| 2.3 | ეთიკისადაკეთილსინდისიერებისპრინციპებისდაცვა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3. | საგანმანათლებლოპროგრამები | ☐ | ☐ | ☐ | ☑ |
| 3.1 | საგანმანათლებლოპროგრამებისშემუშავებადაგანვითარება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.3 | სწავლისშედეგებისშეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☑ |
| 4. | უსდ-ისპერსონალი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.1 | პერსონალისმართვა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.2 | აკადემიური/სამეცნიეროდამოწვეულიპერსონალისდატვირთვა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5. | სტუდენტებიდამათიმხარდაჭერისღონისძიებები | ☐ | ☐ | ☑ | ☐ |
| 5.1 | სტუდენტისსტატუსისმოპოვების, ცვლილებისადაგანათლებისაღიარებისწესიდასტუდენტთაუფლებები | ☐ | ☐ | ☑ | ☐ |
| 5.2 | სტუდენტთამხარდაჭერისღონისძიებები | ☐ | ☐ | ☑ | ☐ |
| 6. | კვლევა, განვითარებაან/დასხვაშემოქმედებითისაქმიანობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6.1 | კვლევითი საქმიანობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6.2 | კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6.3 | კვლევითი საქმიანობის შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7. | მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.1 | მატერიალური რესურსები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.2 | საბიბლიოთეკო რესურსები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.3 | საინფორმაციო რესურსები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.4 | ფინანსური რესურსები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ნინო ღაღანიძე(თავმჯდომარე)
2. ნიკოლოზ ფარჯანაძე (წევრი)
3. გოჩა თუთბერიძე(წევრი)
4. დავით ტეფნაძე (წევრი)

## უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებისავტორიზაციისსტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობისშეფასება

## 1. უსდ-ისმისიადასტრატეგიულიგანვითარება

**უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.**

| **1.1 უსდ-ის მისია** |
|---|
| უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე. |
| **სტანდარტისკომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები:** |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **1.2 სტრატეგიულიგანვითარება** |
| ○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).<br>○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.<br>○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე. |
| **სტანდარტისკომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები:** |

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2. უსდ-ისორგანიზაციულისტრუქტურადამართვა

**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.**

**2.1 ორგანიზაციულისტრუქტურადამართვა**

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტს (ყოფილ შპს ნიუ უნივერსითი) 2019 წლის 12 ივლისს შეუერთდა შპს ქართულ ევროპული უმაღლესი სასწავლებელი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ გაერთიანებული ინსტიტუციების (შპს ნიუ უნივერსითის (ამჟამად მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტის)) ავტორიზაციის ვადად განსაზღვრა 2020 წლის 12 ივლისი და ინსტიტუციას მიეცა უფლება განეხორციელებინა 12 საბაკალავრო პროგრამა (https://eqe.ge/geo/decisions/show/9657), რომელთა ჩამონათვალი მოცემულია დანართში 1.დანართთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს წარმომადგენლებმა (რექტორი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი) ასევე ისაუბრეს ქართულ ენაში მომზადების 60-კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე. უსდ-ს ერთ-ერთი პრიორიტეტია საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა, ხოლო ეს პროგრამა შესაძლებლობას იძლევა, უცხოელ სტუდენტებს შეასწავლოს ქართული ენა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაირიცხონ სხვადასხვა ქართულენოვან პროგრამაზე. ხსენებული პროგრამა არ არის მოცემული უსდ-ს მიერ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში.

შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა შემუშავებულია ვერტიკალური პრინციპის შესაბამისად. საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება, რომელიც ნიშნავს და ათავისუფლებს საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს. რექტორი საგანმანათლებლო დაწესებულებას მართავს პარტნიორთა საბჭოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შესაბამისად და მას ამ პროცესში ეხმარებიან მრჩეველთა საბჭო, მოადგილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. რექტორს ყავს სამი მოადგილე - ა) ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით, ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით და გ) სერვისებისა და კვლევითი საქმიანობის განვითარების მიმართულებით. რექტორის სამივე მოადგილის საქმიანობის არეალი გამიჯნულია და თითოეულ მათგანს ექვემდებარება შესაბამისი სამსახურები თუ სტრუქტურული ერთეულები. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ) კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებს (კერძო სამართლის იურიდიული პირი) თავად შეუძლიათ განსაზღვრონ დაწესებულების სტრუქტურა და მართვის ფორმა, თუკი ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს დაწესებულების ეფექტურად მართვას დაწესებულების მისიით და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესში.

ვიდრე უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობასა და უსდ-ს მიერ ჩამოყალიბებულ მისიასთან მისი შესაბამისობის ანალიზს წარმოვადგენდეთ, აუცილებელია, განისაზღვროს, მოცემული დაწესებულება საგანმანათლებლო დაწესებულების რომელ სახეს წარმოადგენს.უსდ-ს წარმომადგენლებთან საუბრისას

დადგინდა, რომ სახელი ,,ნიუ უნივერსითი'' არ იყო ეფექტური, რადგან მათივე თქმით, იწვევდა ასოციაციას, რომ უსდ არის ახლად შექმნილი დაწესებულება და დადებით გავლენას ვერ ახდენდა პოტენციურ სტუდენტებზე. შესაბამისად, მიიღეს სახელის შეცვლის გადაწყვეტილება და უსდ ამჟამად იწოდება ,,მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტი''. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი აზრით, ახალი სახელი უსდ-ს სტატუსთან მიმართებაში იწვევს ბუნდოვანებას.

შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტი არის კოლეჯი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ) მხოლოდ საბაკალავრო პროგრამების განხორციელების უფლება აქვს. უსდ-ს სტატუსის შესახებ მონიტორინგის ჯგუფმა იმსჯელა უსდ-ს წარმომადგენლებთან და მათაც დაადასტურეს, რომ მოცემული საგანმანათლებლო დაწესებულება არის კოლეჯი. შესაბამისად, უსდ-ს სახელწოდებაში სიტყვა ,,სასწავლო უნივერსიტეტის'' გამოყენება დამაბნეველია, რადგან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამები. მეწარმეთა შესახებ კანონის მე-6 მუხლის , მე-5 პუნქტის შესაბამისად კი, სახელწოდებაში არ შეიძლება ისეთი სიტყვის ან სიმბოლოს გამოყენება, რომელიც შეცდომაში შემყვანია და შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს დაწესებულების ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობასთან დაკავშირებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს სტუდენტებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ უსდ ნამდვილად განუმარტავს სტუდენტებს, რომ უსდ არის კოლეჯი და მას აქვს მხოლოდ საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება. უსდ-ს წარმომადგენლებთან საუბრისას გაირკვა, რომ ახალი სახელიც არის მარკეტინგული სტრატეგია და უკავშირდება უსდ-ს მომავალ გეგმებს.

უსდ-ს მისიაში გამოკვეთილია, რომ უსდ ინოვაციებსა და თანამედროვე სწავლების მეთოდებზე ორიენტირებული უნივერსიტეტია. სასწავლო პროცესის ორგანიზების თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსთან კომუნიკაციის შედეგად გამოიკვეთა, რომ იგი სრულად არის ჩართული სასწავლო პროცესის ორგანიზებაში, ცხრილების შედგენაში, გამოცდების ადმინისტრირებაში და დეტალურად იცნობს სასწავლო პროცესის სპეციფიკას და ამ პროცესების მარეგულირებელ დოკუმენტებს. თუმცა, ამ შემთხვევაში ხდება საგამოცდო ცენტრისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ფუქციების გადაფარვა. შესაბამისად, ბოლომდე დასაბუთებულად არ მიგვაჩნია საგამოცდო ცენტრის ცალკე ერთეულად არსებობის აუცილებლობა, განსაკუთრებით მცირე ზომის უსდ-თვის. ასევე, არსებობს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო ურთიერთობების, სტუდენტური სერვისებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობების სამსახურები. მიგვაჩნია, რომ ამ სამი ცალკეული სტრუქტურული ერთეულის აუცილებლობა მცირეკონტიგენტიან უნივერსიტეტში ბოლომდე გამართლებული არ არის. სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუმაც აჩვენა, რომ სტუდენტები უმეტესად იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან და ინფორმაციაც ძირითადად ეხება სწავლა-სწავლების პროცესს. ინტერვიუში მონაწილე სტუდენტებმა თქვეს, რომ არ მონაწილეობენ დამატებით კლასგარეშე აქტივობებში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაც დაადასტურა მხოლოდ ერთმა სტუდენტმა. დანარჩენ სტუდენტებს გაცვლით პროგრამებზე ინფორმაცია არ ქონდათ. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მცირე ზომის საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის აუცილებელია რესურსების უფრო ოპტიმალურად გამოყენება უკეთესი შედეგის მისაღებად. გარდა ამისა, უსდ-ს სტრუქტურაში არ ჩანს, უშუალოდ რომელი სტრუქტურული ერთეული არის პასუხისმგებელი ინოვაციებზე და თანამედროვე სწავლების მეთოდების კურიკულუმში ინტეგრირებაზე. უნივერსიტეტის სტრუქტურაში მოცემულია სამეცნიერო კვლევითი სამსახური, მაგრამ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად არ დასტურდება ამ კვლევითი ცენტრის განსაკუთრებული აქტიურობა ინოვაციებისა და სწავლების თანამედროვე მიდგომების სასწავლო პროცესში ინტეგრირების მიმართულებით.

უსდ-ში ფუნქციონირებს საქმისწარმოების სამსახური, რომელიც არის უსდ-ს ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეული და რომლის საქმიანობასაც არეგულირებს სამსახურის დებულება. სამსახურის ძირითადი ფუნქცია უსდ-ს საქმისწარმოების დებულების (თავი II, მუხლი 4) შესაბამისად არის ,,ერთიანი საქმისწარმოების სამუშაოების ორგანიზება, ხელმძღვანელობა, კოორდინაცია, კონტროლი და რეალიზაცია. უნივერსიტეტის დოკუმენტბრუნვის, შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის, დოკუმენტაციის ელექტრონულ დამუშავებისა და უნივერსიტეტის დოკუმენტაციის არქივის წარმოების უზრუნველყოფა''. სამსახურის დოკუმენტაციის წარმოების პროცესების ადგილზე გაცნობის შედეგად მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ სამსახურში პროცესები ძირითადად კარგად არის ორგანიზებული და მიმდინარეობს სამსახურის დებულების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ უსდ-ს საქმისწარმოების პროცესში დარღვეულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის $86^4$ მუხლი, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში კანონით დადგენილ ვადებში არ არის ასახული ინფორმაცია სტუდენტების სტატუსის შეჩერების შესახებ.ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის N127/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესი"-ს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უსდ ვალდებულია უსდ-ში ჩარიცხული პირის

სტატუსის (შეჩერება/შეწყვეტა/აღდგენა) შესახებ ინფორმაცია რეესტრში ასახოს არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში ინფორმაციის დროულად ასახვას არეგულირებს უსდ-ს ,,საქმისქარმოების სამსახურის დებულება'', რომლის მე-6 მუხლის შესაბამისად, სამსახური პასუხისმგებელია ,,საქმისწარმოების ერთიანი წესისა და სხვა მოქმედი ნორმატივების შესაბამისად კორესპონდენციის დადგენილ ვადებში გაფორმებისა და დოკუმენტების კონტროლზე აყვანის ორგანიზება''-ზე, და უსდ-ს შემთხვევაში დებულების ეს მუხლი დარღვეულია.ასევე, სტუდენტების სტატუსთან დაკავშირებული ბრძანებების რეგისტრაციისათვის გამოყენებული იყო ელექტრონული ჟურნალი.

უსდ-ს გაცხადებული მისია არის მობილობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ერთმა სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში, თუმცა დანარჩენი სტუდენტები არ იყვნენ ინფორმირებული ამ შესაძლებლობის შესახებ. უსდ-თვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ინტერნაციონალიზაციის ასპექტი, რადგან მისი სტუდენტების დიდი ხვედრითი წილი საერთაშორისო სტატუსის მქონე სტუდენტებია. მიუხედავად ამისა, უსდ-ს ვებ-გვერდზე მხოლოდ ქართულ ენაზეა ინფორმაცია მოცემული. მონიტორინგის ჯგუფი დაინტერესდა, როგორ შეიძლება პოტენციურმა სტუდენტმა ინფორმაცია მიიღოს უნივერსიტეტის შესახებ. უსდ-ს წარმომადგენლებმა აგვიხსნეს, რომ საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა უმეტესად ხდება აგენტების მეშვეობით. ხოლო უცხოელმა სტუდენტმა მონიტორინგის ჯგუფს აუხსნა, რომ უსდ-ს შესახებ ინფორმაცია მიიღო მეგობრისაგან, რომელიც ამ უსდ-ში სწავლობს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- უსდ-ს დებულება
- უსდ-ს ვებ-გვერდი
- ინტერვიუ სტუდენტებთან
- ინტერვიუ უსდ-ს წარმომადგენლებთან (ადმინისტრაცია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი)
- უსდ-ს საქმისწარმოების სამსახურის დებულება
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი N10, 12.97.2019
- 2011 წლის 22 ივლისის N127/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესი".

**რეკომენდაციები:**

- აუცილებელია, დაზუსტდეს უსდ-ს სახელწოდება, რათა დაზუსტდეს უსდ საგანმანათლებლო დაწესებულების რომელ სახეს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ს სახელწოდება არ იყოს დამაბნეველი.
- აუცილებელია უსდ-ს საქმისწარმოების სამსახურში საქმისწარმოების პროცესების გამართვა და მონიტორინგის მექანიზმის შემოღება, რათა უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დროულად და ზუსტად აისახოს უსდ-ს ინფორმაცია, მაგ. აქტიური სტატუსისა და სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია.

**რჩევები:**

- სასურველია, უნივერსიტეტის სტრუქტურაში გადაიხედოს ცალკეული სტრუქტურული ერთეულების არსებობის აუცილებლობა, რათა არ მოხდეს სამსახურებს შორის ფუნქციების გადაფარვა, რაც ხელს შეუწყობს რესურსების ოპტიმიზაციასა და მათ ეფექტურ გამოყენებას.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 ხარისხისუზრუნველყოფისშიდამექანიზმები**

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მილენიუმის სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფი ვერ შეხვდა სამსახურის უფროსს, რადგან უსდ წარმომადგენელთა განმარტებით, იგი მივლინებაში იმყოფებოდა. ინტერვიუ შედგა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტთან. სამსახური ფუნქციონირებს როგორც ცენტრალური ორგანო და უნივერსიტეტში საფაკულტეტო დონეზე არ არის შესაბამისი ერთეულები. ამგვარი მცირერიცხოვანი სამსახურის არსებობის პირობებში მნიშვნელოვანია უსდ-ს ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის აქტიურიჩართულობა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით. ამ თვალსაზრისით, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან (ინტერვიუზე იმყოფებოდა ორი პროგრამის ხელმძღვანელი) დადასტურდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში, რაც გამოიხატება სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელების სისტემატურ სამუშაო შეხვედრებით და აკრედიტაციის პროცესისთვის პროგრამების მზადების ფაქტით.ამგვარი სახის მუშაობა დადასტურდა, ასევე, ადმინისტრაციის წარმომადგენელსა და ხარისხის სამსახურს შორის.

სამსახურის პასუხისმგებლობას განეკუთვნება პროგრამების მომზადება აკრედიტაციის პროცესისათვის, დაინტერესებული მხარეების სისტემატური გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი, აკადემიური პერსონალის ორგანიზება და მათთან კოორდინაცია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიურ პერსონალთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა არაერთმნიშვნელოვანი მდგომარეობა პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებით პროგრამების მონიტორინგის, პროგრამების განვითარების და ახალი პროგრამების შემუშავების თვალსაზრისით. პერსონალის ერთი ნაწილი (ორი პროგრამის ხელმძღვანელი, რომელთაგან ერთი აკადემიური, ხოლო მეორე მოწვეული პერსონალია), სათანადოდ აღწერდა ახალი პროგრამის შემუშავების პროცესს და მასში ჩართულ პერსონებს, ხოლო მეორე ნაწილს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა პროგრამების მონიტორინგისა და პროგრამების განვითარების ან/და ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში საკუთარ უფლება/მოვალეობებზე. დაფიქსირდა რამდენიმე ფაქტი, როდესაც აკადემიური პერსონალი სხვის მიერ შემუშავებული სილაბუსით ახორციელებდა სწავლებას. დაწესებულების წარმომადგენლებმა ეს ახსნეს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტისადა ქართულ-ევროპული სასწავლო უნივერსიტეტის გაერთიანების ფაქტით. ერთ-ერთი სილაბუსის ავტორად მითითებული იყო გარდაცვლილი პიროვნება, სასწავლო კურსს ახორციელებდა უსდ სხვა აკადემიური პერსონალი, თუმცა სილაბუსში მითითებული იყო მხოლოდ მისი გარდაცვლილი ავტორის საკონტაქტო ინფორმაცია.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა შეფასების სისტემით და აღმოაჩინა გარკვეული შეუსაბამობა სილაბუსით განსაზღვრულ ფორმასა და საგამოცდო ცხრილში მითითებულ ინფორმაციასთან. კერძოდ, სილაბუსით განსაზღვრული დროის ნაცვლად საგამოცდო ცხრილში კომპიუტერული გამოცდის ხანგრძლივობა შეადგენდა 30 წუთს. შეფასების ამგვარ ფორმას არ იზიარებენ და არ მიიჩნევენ სწავლის შედეგების ადეკვატურად თავად პედაგოგები, რაც, მათი თქმით, უკვე შეცვლილია ახალ საგანმანათლებლო პროგრამებში, რომელზეც პერსონალი ამჟამად მუშაობს.თუმცა, ცხადია, რომ ინსტიტუციაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უნდა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის მონიტორინგს და უწყვეტ შეფასებას. ამდენად, მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამაში შეფასების სიტემის ნებისმიერი შეუსაბამობა დაფიქსირებული და აღმოფხვრილი უნდა იყოს მიმდინარე რეჟიმში და არა მომავალში, ახალ საგანმანათლებლო პროგრამაში, რადგან „გამოცდების ჩატარების წესის“ თანახმად, საგამოცდო საკითხების ოდენობას და შეფასების კრიტერიუმებს ადგენს უშუალოდ ლექტორი. ამ წესის განუხრელად დაცვის შემთხვევაში არ დაფიქსირდებოდა შეუსაბამობა შეფასების კრიტერიუმებსა და შეფასების მიზანშეწონილ ფორმებს შორის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კიდევ ერთ ფუნქციასთან, კერძოდ, სტუდენტების გამოკითხვასთან და მასში მონაწილეობასთან დაკავშირებით სტუდენტების ერთმა ნაწილმა დადებითი პასუხი გაგვცა, ხოლო მეორე ნაწილმა აღნიშნა, რომ არ მიუღიათ მონაწილეობა ამგვარ კვლევაში.ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი შიდა მექანიზმი ასეთი კვლევის მონაცემებზე საგანმანათლებლო დაწესებულებების გადაწყვეტილებების დაყრდნობას უნდა უზრუნველყოფდეს, რაც მხოლოდ ნაწილობრივ ხდება, ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად.

ამდენად, გამოიკვეთა საერთო სურათი, რომ უსდ-ს და კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მართებს

დიდი ძალისხმევა დაწესებულების ყველა სტრუქტურული ერთეულის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უფრო აქტიურად ჩასართავად ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, ხარისხის კულტურის გასავითარებლად. აუცილებელია სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული შეფასების ფორმების ზედმიწევნით შესაბამისობაში მოყვანა რეალურ საგამოცდო პროცესთან. აუცილებელია სტუდენტური გამოკითხვების სტიმულირება და გააქტიურება (გამოკითხვა ელექტრონულად მიმდინარეობს), რათა სტუდენტების მთელი კონტინგენტი ჩართული იყოს პროცესში.

აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულ რეჟიმში ამოწმებდეს სასწავლო კურსებში მითითებულ საკონტაქტო ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად აახლებდეს მას.

საგანამანათლებლო დაწესებულებაში არსებობს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს, მათ შორის, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს. როგორც უკვე აღინიშნა, მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტისა და ქართულ-ევროპული სასწავლო უნივერსიტეტის გაერთიანების შემდეგ გაჩნდა აუცილებლობა, უსდ-ს კიდევ ერთხელ შეეფასებინა ამ თვალსაზრისით საკუთარი რესურსი, რაც განხორციელდა კიდეც. სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის შესაბამისად გაიზარდა აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

**მტკიცებულებები**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- გამოცდების ჩატარების წესი
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან

**რეკომენდაციები:**

- აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ეფექტური მექანიზმებით უზრუნველყოს დაწესებულების ყველა სტრუქტურული ერთეულის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უფრო აქტიურად ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, ხარისხის კულტურის გასავითარებლად.
- აუცილებელია სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული შეფასების ფორმების ზედმიწევნით შესაბამისობაში მოყვანა რეალურ საგამოცდო პროცესთან.
- აუცილებელია სტუდენტური გამოკითხვების სტიმულირება და გააქტიურება (გამოკითხვა ელექტრონულად მიმდინარეობს), რათა სტუდენტების მთელი კონტინგენტი ჩართული იყოს პროცესში.
- აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულ რეჟიმში ამოწმებდეს სასწავლო კურსებში მითითებულ საკონტაქტო ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად აახლებდეს მას.

**რჩევები:**

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. ეთიკისადაკეთილსინდისიერებისპრინციპებისდაცვა**

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

| |
|---|
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები:** |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 3. საგანმანათლებლოპროგრამები

**უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.**

| **3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება** |
|---|
| უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები:** |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
| ○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.<br>○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** |

| |
|---|
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები:** |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **3.3 სწავლის შედეგების შეფასება** |
| უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>სტუდენტის სწავლის შეფასება დაწესებულებაში რეგულირდება სხვადასხვა აქტებით. მათ შორის „სასწავლო პროცესის მარეგულიერებელი წესი" მუხლი 12. „სტუდენტის მღწევების შეფასება", „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მექანიზმები", „გამოცდების ჩატარების წესი", „აპელაციის წესი". „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მექანიზმების" მიხედვით დაწესებულება იყენებს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდოლოგიას. პირდაპირი შეფასების სახით კი გამოიყენება წერითი/ზეპირიგამოცდა/გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკულიპროექტიდასხვა". სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებებს კი შეადგენს სტუდენტთა ნაშრომები.<br><br>დაწესებულების საგანამანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) დადასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო (სემესტრულ) შეფასებას. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" მუხლი 12 სტუდენტის მიღწევების შეფასება განსაზღვრულია სტუდენტის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები. ამ დოკუმენტის თანახმად საუნივერსიტეტო შეფასების სისტემა სტანდარტულია და ის შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ნორმატიულ აქტებს. პროგრამის სასწავლო კურსებში, ასევე, შეფასების თითეული ფორმა დაყოფილია კომპონენტებად: ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითიგამოკითხვა, პრეზენტაცია და სხვა. ხოლო, შუალედური და დასკვნითი გამოცდები სილაბუსების მიხედვით, ტარდება წერითი ფრომით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სილაბუსებში გაწერილი შეფასების ფორმები შესაბამისობაშია დაწესებულებაში მოქმედ გამოცდების ჩატარების წესთან. თუმცა, სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით გამოცდების ჩატარების პრაქტიკასთან მიმართებაში, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. სასწავლო კურსების სილაბუსებით, შუალედური გამოცდისათვის გამოყოფილი დრო არის 2 საათი, ხოლო დასკვნითი გამოცდისათვის გამოყოფილი დრო კი 3 საათი. ამასთან, დასკვნითი გამოცდა მოიცავს, როგორც ღია კითხვებს, ასევე, დახურულ ტესტებს (საგანამანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება სილაბუსები: ფინანსების საფუძვლები, ბიზნესის საფუძვლები, საერთაშორისო მენეჯმენტი - 5 ღია კითხვა თითეული 5 ქულა და 30 ტესტი თითეული 0,5 ქულა; სამართლის საგანამანათლებლო პროგრამა, სილაბუსები: ადამიანის ძირითადი უფლებები, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), გადახდის უუნარობის სამართალი - ტესტი, კაზუსი, ღია კითხვა თითეულის შეფასება 10 ქულა). მიდგომა ყველგან სტანდარტულია და შესაბამისად, ვერ ხდება დარგის სპეციფიკის გათვალისწინება და აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების ადეკვატური ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შერჩევა, რომელიც მისცემდა საშუალებას დაწესებულებას დაედგინა, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანამანათლებლო კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.ინტერვიუს დროს მონიტორინგის ჯგუფმავერ მიიღო ცალსახა პასუხი კითხვაზე, თუ როგორ ხორციელდებოდა პრაქტიკაში შეფასების ნაწილში ის, რაც მარეგულირებელ დოკუმენტებსა და სილაბუსებში იყო ასახული.<br><br>დაწესებულებას გააჩნია გამოცდების ჩატარების დამტკიცებული წესი დაშუალედური და დასკვნითი გამოცდების პროცესის ორგანიზებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, დასკვნითი და შუალედური გამოცდები ტარდება ტესტირების ფორმით. ტესტში მოცემულ |

თითეულ კითხვაზე სწორი პასუხი ფასდებოდა 2 ქულით. სულ ტესტში იყო 15 შეკითხვა. ვინაიდან, გამოცდები ტარდება კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით და სტუდენტები დაუყოვნებლივ იღებდნენ პასუხს, თუ რა შეფასება მიიღეს, შესაბამისად, მატერიალიზებულ დოკუმენტს გამოცდის შედგების შესახებ დაწესებულება არ ინახავდა. მონიტორინგის ჯგუფმა მოითხოვა, რომ კომპიუტერულ პროგრამაში ეჩვენებინათ, უკვე ჩატარებული გამოცდის შედეგები, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტება იყო ის, რომ ეს ტექნოლოგიურად შეუძლებელი იყო და ამისთვის დასჭირდებოდათ პროგრამისტის გამოძახება, რომელიც ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. თუმცა ავტორიზაციის 3.3 სტანდარტის კომპონენტის მიხედვით, დაწესებულება ვალდებულია გააჩნდეს ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები, რომლებითაც უზრუნველყოფილი იქნება მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტიანობა, ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა.

სამწუხაროდ, მიუხედავად მოთხოვნისა, სტუდენტების მიერ შესრულებული შუალედური დავალებები, პრაქტიკული ამოცანები და ა.შ. ვერ იქნა წარმოდგენილი ჯგუფისათვის. აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამოცდების ჩატარების წესის მიხედვით, ფაკულტეტი ვალდებულია „გამოცდის (შუალედური, დასკვნითი) ჩატარებიდან ორი სამუშაოდღისვადაშიუზრუნველყოსლექტორებისათვისსაგამოცდონაშრომებისგადაცემადაგასწორებისშემდეგჩაი ბაროსისინი“. ასევე „ფაკულტეტივალდებულიაიამსტუდენტებისნაშრომებისქსეროასლები, რომლებიცარეთანხმებიანგამოცდაზემიღებულშეფასებასდამოითხოვენშედეგებისგადასინჯვას, სტუდენტისთვისნაშრომისგაცნობიდანერთისამუშაოდღის, ანგასაჩივრებისვადისამოწურვიდან 2 სამუშაოდღისგანმავლობაშიგანსახილველადგადასცესსააპელაციოკომისიას, რომელიცთავისმხრივ 2 სამუშაოდღისვადაშივალდებულიამიაწოდოსფაკულტეტსაპელაციისდასკვნა“. თუმცა, ვიზიტის დროს ვერ დადასტურდა ამ მოთხოვნების შესრულება. ასევე, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აპელაციის ვერცერთი შემთხვევა. ჯგუფის წევრებისათვის არ იყო ხელმისაწვდომი წერილობითი ნამუშევრები, რომლებიც დაადასტურებდა ზემოაღნიშნული წესების პრაქტიკულ რეალიზაციას.
დაწესებულებამ, მეორე დღის ბოლოს, წარმოგვიდგინა 5 საქართველოს მოქალაქე სტუდენტის ტესტური გამოცდის შედეგები (მათ შორის ტესტური გამოცდის ნიმუშები ეკუთვნოდა ერთ სტუდენტს, რომელმაც ჩააბარა გამოცდა ფინანსებში, ტესტური გამოცდის მეორე ნიმუში ეკუთვნოდა ერთ სტუდენტს, რომელმაც ჩააბარა საგანი: კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია 2, 2 ნაშრომი ეკუთვნოდა 2 სტუდენტს, რომელთაც ჩააბარეს ინგლისური ენა I და კიდევ ერთი ნაშრომი ეკუთვნოდა სტუდენტს, რომელმაც ჩააბარა ინგლისური ენა III). თითოეულ ტესტური ნაშრომი მართლაც შედგებოდა 15 ტესტური კითხვისგან, და თითოეული შეკიტხვა ფასდებოდა 2 ქულით. გამოცდის ასეთი ფორმა, არაფერს არ ვამბობთ ტესტების შინაარსზე (მათ შორის უცხო ენაში. ტესეტები იმდენად მარტივია, რომ ამ ტესტებით შეუძლებელია დაადგინო სტუდენტის ინგლისური ენის ფლობის დონე, ზოგან კი აშკარად არასწორი პასუხი ჩათვლილია სწორად, იგივე ითქმის ფინანსების, ბიზნესის სტატისტიკის და ა.შ. ტესტებზე), ჯგუფის აზრით, არ იძლევა სრულყოფილ შესაძლებლობას, რომ შემოწმდეს სტუდენტის მიერ, ამ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი.

ინტერვიუს დროს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადგილი ჰქონდა უხერხულ შემთხვევბსაც, როცა პროფესორებს არ ახსოვდათ შეფასების კრიტერიუმები, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ხანგრძლივობა, სასწავლო კურსების ზუსტი დასახელება. მათი ნაწილი ამას ხსნიდა იმით, რომ სილაბუსი მათი შემუშავებული არ იყო. იყო ასეთი შემთხვევაც, სასწავლო კურსი „ფინანსების“ სილაბუსში მითითებული ავტორი და საკონტაქტო ინფორმაცია ეკუთვნოდა პროფესორს, რომელიც დიდი ხნის წინ გარდაცვლილია. დაწესებულებამ განმარტა, რომ გარდაცვლილი პიროვნება იყო სილაბუსის ავტორი და არა განმახორციელებელი, თუმცა საკონტაქტო ინფორმაცია სილაბუსში არ იყო შეცვლილი და არსად იყო მითითება, ვინაა განმახორციელებელი და როგორ უნდა დაუკავშირდეს მას სტუდენტი აპელაციის ან სხვა შემთხვევაში.

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლამ გამოავლინა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსით გაწერილი შეფასების მოთხოვნები რეალურად არ სრულდება. მაგ. ფინანსების დასკვნითი გამოცდა სილაბუსით გულისხმობს 25 ტესტურ კითხვას, თითოეულის შეფასებაა 1 ქულა და 3 პრაქტიკულ დავალებას, საიდანაც თითოეული შეკითხვა ფასდება 5 ქულით, ხოლო დასკვნითი გამოცდის ხანგრძლივობაა 3 საათი. ფაქტობრივი გარემოება კი ასეთია: ფინანსებში დასკვნითი გამოცდის ხანგრძლივობაა 30 წუთი, ტესტი შედგება 15 დახურული კითხვისაგან, თითოეული კითხვის შეფასება 2 ქულაა. ამ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ შესრულებული წერილობითი დოკუმენტი (ღია კითხვებზე პასუხები) დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. ასეთი წინააღმდეგობა დოკუმენტსა

(სილაბუსი) და რეალურ პრაქტიკას შორის წინააღმდეგობაში მოდის 3.3 სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთან, რომელიც გულისხმობს სტუდენტისინფორმირებულობასუსდ-შიმოქმედიშეფასებისსისტემისადაშეფასებასთანდაკავშირებითმოქმედირეგულაციებისშესახებ.

დამტკიცებული საგამოცდო ცხლილით ყველა გამოცდის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 30 წუთით, მაშინ როდესაც სილაბუსით სულ სხვა ხანგრძლივობაა მითითებული. დაწესებულებაში გამოცდების ჩატარების პრაქტიკა ასევე არ პასუხობს დამტკიცებულ „უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების წესს“, რომლის მე-4-ე მუხლში წერია, რომ: „წარმოდგენილისაკითხები/ბილეთები, სრულადუნდამოიცავდესდაშეესაბამებოდესსასწავლოკურსისსილაბუსითგანსაზღვრულთემატიკას; ბილეთისფორმას, მასშისაკითხებისოდენობასდაშეფასებისკრიტერიუმებსგანსაზღვრავსლექტორი“. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა ამავე წესის მე-10 მუხლის „საგამოცდო ბილეთების გადამოწმება“ მოთხოვნების დაცვას (1. ხარსიხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსისმოთხოვნისშესაბამისად, დასკვნითი/დამატებითისაგამოცდოვადისამოწურვისშემდეგ, სასწავლოპროცესისმართვისსამსახურივალდებულიალექტორისმიერწარმოდგენილისაგამოცდობილეთები/საკითხებიშემდგომირეაგირებისათვისგადასცესმას. 2.ხარსიხის უზრუნველყოფისსამსახურიუფლებამოსილიადაადგინოსწარმოდგენილისაგამოცდობილეთების/საკითხებისშესაბამისობასაგნისსილაბუსთან, წარუდგინოსდასკვნარექტორს/აკადემიურსაბჭოსდასაჭიროებისშემთხვევაში,მოახდინოსშესაბამისირეაგირება).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის ჯგუფის აზრით, დაწესებულება ვერ ზრუნველყოფს, სილაბუსითგანსაზღვრულისწავლისშედეგებისშესაბამისად, სტუდენტის ცოდნის შეფასებას, შეფასებისსხვადასხვაადექვატური კომპონენტებისდამეთოდებისსაშუალებით.

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები არ არიან სრულად ინფორმირებული დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებული მოქმედი რეგულაციების შესახებ. მაგ. მათ ვერ შეძლეს აეხსნათ მათი უფლებები აპელაციის შემთხვევაში და ამას ხსნიდნენ იმით, რომ აქამდე აპელაციის საჭიროება არ ჰქონიათ.

დაწესებულებაშიმოქმედისასწავლოპროცესისმართვისელექტრონულისისტემახელსუწყობსსწავლისპროცესისადმინისტრირებას. სტუდენტსსაშუალებააქვსმუდმივადაკონტროლოსსაკუთარიპროფილი, გაეცნოსსილაბუსებსადასაგნებისსწავლებისსპეციფიკას.სასწავლოპროცესისმართვისელექტრონულისისტემისსაშუალებითსტუდენტსსაშუალებააქვთ, მიიღოსყველაინფორმაცია, მათშორისმისიაკადემიურიმოსწრებისშესახებ. სასწავლოპროცესისმართვისელექტრონულისისტემისწვდომახორციელდებაპირადიკოდით, რომელიცყველასტუდენტსეგზავნებაინდივიდუალურადდაუზრუნველყოფსმისკონფიდენციალურობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- უნივერსიტეტში გამოცდის ჩატარების წესი
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- 2019-2020 წლის I სემესტრის დასკვნითი საგამოცდო ცხრილი
- სტუდენტთა ტესტური გამოცდის ნიმუშები
- ინტერვიუ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან

**რეკომენდაციები:**

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ადეკვატური შეფასება თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- დაწესებულებამ უნდა დაიცვას თავის მიერ შემუშავებული და დაინტერესებული მხარეების მიერ გაზიარებული შეფასების პროცედურები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, გამოცდების ჩატარების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კომპონენტები და ფორმები);
- შეფასებისა და აპელაციის წესები უნდა იყოს ქმედითი და გამოყენებადი;

| |
|---|
| ○ სასწავლო კურსის სილაბუსები უნდა იყოს შემუშავებული მათი განმახორციელებლების მიერ და მითითებული რეკვიზიტები უნდა აძლევდნენ სტუდენტებს უკუკავშირის შესაძლებლობას;<br>○ ხარისხის სამსახურის ფუნქცია შეფასებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით შეფასების სილაბუსის მოთხოვნებთან შესაბამისობის ასპექტით, უნდა იყოს ქმედითი და არა ფორმალური;<br>○ გამოცდის შედეგები მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, გონივრული ვადით, უნდა იყოსშენახული |
| **რჩევები:** |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 4. უსდ-ისპერსონალი

**უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.**

| **4.1. პერსონალისმართვა** |
|---|
| ○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.<br>○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები:** |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **4.2. აკადემიური, სამეცნიეროდამოწვეულიპერსონალისდატვირთვა** |
| უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისრაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები:** |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 5. სტუდენტებიდამათიმხარდაჭერისღონისძიებები

**უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.**

| |
|---|
| **5.1. სტუდენტისსტატუსისმოპოვების, ცვლილებისადაგანათლებისაღიარებისწესიდასტუდენტთაუფლებები** |
| ○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.<br>○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. |
| დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები, რომელიც აღწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი (2019)“-ში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მარეგულირებელ წესში გაწერილია როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამებზე სტატუსის მოპოვების/შეჩერების და შეწყვეტის პროცედურები. აღნიშნული გარემოება (ისევე როგორც დაწესებულების სახელი) დამაბნეველიც შეიძლება აღმოჩნდეს როგორც სტუდენტებისთვის ასევე სხვა დაინტერესებული პირებისათვის, რადგან სასწავლო დაწესებულება ამ ეტაპზე საერთოდ არ ახორციელებს სამაგისტრო |

საფეხურის პროგრამებს. ამავე წესის მეხუთე მუხლში გაწერილია უცხოენოვან პროგრამაზე მიღების წესი მაგრამ არ არის დაკონკრეტებული თუ რომელი ენაში უნდა წარმოადგინოს კანდიდატმა სერტიფიკატი, რომელ სერტიფიკატებს ცნობს უსდ და არ არის დაკონკრეტებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი რომელიც უნდა ჰქონდეს დაკმაყოფილებული კანდიდატს. ამ შემთხვევაშიც ვებ-გვერდზე წარმოდგენილია უცხოენოვანი პროგრამა (აზერბაიჯანული) რომელსაც არ ეტაპზე არ ახორციელებს უსდ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ წესის თანახმად, უცხოელი მოქალაქეებისთვის პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად, არ მოითხოვება ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება. ინტერვიუს დროს უსდ-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან ხდება გასაუბრების ჩატარება და მისი ჩაწერა. თუმცა დაწესებულებისათვის გამოთხოვილი სტუდენტებიდან ყველა მათგანზე არ აღმოჩნდა ვიდეო ჩანაწერი. შესაბამისად ვერ დადასტურდა ვერც გასაუბრების ჩატარების პროცესის სრულყოფილება. ასევე საეჭვოა რამდენად აკმაყოფილებდნენ ქართული ენის კომპეტენციას ის სტუდენტებიც, რომელთა ვიდეო ჩანაწერიც არსებობდა, რადგან ვიდეოში გარკვევით ისმის როგორ ეხმარება პასუხის გაცემაში სტუდენტს გამომცდელი. (ვიდეო ჩანაწერის ლინკი https://drive.google.com/file/d/11OyIRqI6zUvUUl4LOFAmoRLvX84R5DFL/view?usp=sharing)

მეთოთხმეტე მუხლში ვკითხულობთ, „სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში“, მაგრამ აკადემიურ და მოწვეულ სპეციალისტებთან გასაუბრების დროს რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ სემესტრის განმავლობაში რამდენჯერმე მომხდარა სტუდენტებისათვის სტატუსის აღდგენა. რაც შეუსაბამობაში მოდის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან“. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული წესი საჯაროდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, რაც უსდ-ს ვერ-გვერდზე არ დასტურდება.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთულია არა „მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტი“-ს მარეგულირებელი დოკუმენტები არამედ „ნიუ უნივერსითი“-ს. შესაბამისად, სტუდენტებს არ აქვთ პირდაპირი წვდომა უნივერსიტეტის ამ და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან. თუმცა ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ ხელმოწერის შედეგად სტუდენტი ადასტურებს რომ გაეცნო სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტს.

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს შემოწმდა სასწავლო პროცესის ონლაინ პლატფორმა სადაც სტუდენტები ნახულობდნენ აკადემიურ მოსწრებას და იღებდნენ შეტყობინებებს ადმინისტრაციისგან. ექსპერტების მიერ პლატფორმის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ პროგრამა იყო მხოლოდ ქართულენოვანი მაგრამ, ადმინისტრაციისგან მიღებული შეტყობინება იყო ორ ენაზე (ქართული და ინგლისური). ამ შეტყობინებებში ერთ-ერთი მათგანი იყო გამოცდების ჩატარების ცხრილი, მაგრამ უსდ-ს ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ ნებისმიერ საგამოცდო დროს დაწერონ ნებისმიერი საგანი. რაც თავისთავად აზრს უკარგავს გამოცდების ცხრილის შედგენას.

ვიზიტის დროს გავეცანით სტუდენტსა და სასწავლო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, სადაც ჩანს, რომ ხელშეკრულებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, სტუდენტი ვალდებულია ყოველ სემესტრში გადაიხადოს სწავლის წლიური საფასურის ნახევარი, მიუხედავად იმისა თუ რამდენ კრედიტზე ახდენს სტუდენტი აკადემიური რეგისტრაციის გავლას. ამ წესების თანახმად, სტუდენტს რომელიც 30 კრედიტზე არ გაივლის რეგისტრაციას, შეუძლია დარჩენილი თანხა გამოიყენოს სხვა სემესტრებში, მაგრამ არაფერია ნახსენები იმ შემთხვევაზე, თუ სტუდენტი ისარგებლებს გარე მობილობით და მას ათვისებული არ ექნება სემესტრის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა.

უსდ ახორციელებს ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას. რომელზეც ირიცხებიან ის სტუდენტები, რომლებმაც ვერ გაიარეს ქართული ენის გასაუბრება. ადმინისტრაციისგან მიღებული ინფორმაციით ბოლო 150 სტუდენტიდან მხოლოდ 50 -მა შეძლო აღნიშნული პროგრამის წარმატებით დასრულება. ამ პროგრამას ასევე სთავაზობენ უკვე სხვა საბაკალავრო პროგრამაზე უკვე ჩარიცხულ სტუდენტებს ქართული ენის გაუმჯობესების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ში ასევე მოქმედებს ქართული ენის სასერტიფიკატო კურსი, რომელზეც სწავლის შემდეგაც გაიცემა მხოლოდ სერტიფიკატი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
სტუდენტთა უფლებების მარეგულირებელი წესი
სასწავლო დაწესებულებასა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
ინტერვიუები

https://drive.google.com/file/d/11OyIRqI6zUvUUl4LOFAmoRLvX84R5DFL/view?usp=sharing

**რეკომენდაციები:**

- განახლდეს სასწავლო დაწესებულების ვებ-გვერდი და მასზე განთავსდეს „მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტის“ მარეგულირებელი დოკუმენტები
- მიეცეთ სტუდენტებს საშუალება გადაიხადონ სწავლის საფასური კრედიტების/საგნების შესაბამისად.
- ქართულ ენოვან პროგრამებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაწესდეს ქართული ენის კომპეტენციის შესამოწმებელი გამოცდა
- ვებ გვერდი არსებული ინფორმაცია მოვიდეს შესაბამისობაში

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები,
რომლებიცდაწესებულებასშეუძლიაგაითვალისწინოსსაქმიანობისგასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 სტუდენტთამხარდაჭერისღონისძიებები**

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

**სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:**

სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტისას მოხდა სტუდენტებთან შეხვედრა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ჯგუფის მიერ მოთხოვნილ უცხოელ სტუდენტებთან შეხვედრა ვერ მოხდა. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა გვითხრეს ჩვენს მიერ მოთხოვნილ სტუდენტებს 30 დეკემბერს და 10 იანვარს ჰქონდა სტატუსი შეჩერებული. სტუდენტების ჯგუფი შედგებოდა უმეტესწილად ქართულ-ევროპული უნივერსიტეტის სტუდენტებისგან რომლებიც მხოლოდ 1 სემესტრის განმავლობაში სწავლობდნენ მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტში. ინტერვიუს დროს მათ განაცხადეს, რომ არ ქონდათ ინფორმაცია უსდ-ში თვითმმართველობის არსებობის შესახებ. თუმცა უსდ-ს წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს მათ განაცხადეს, რომ ასეთი სტუდენტური თვითმმართველობა არსებობს და შესაბამისად წარმოდგენილი იქნა სტუდენტური თვითმმართველობის დებულება.

დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა 2018-2019 სტუდენტური აქტივობების ჩამონათვალი, რომელიც შეთავაზებული იყო სტუდენტებისათვის. მათი შესრულება კი დასტურდება უსდ-ვებ-გვერდზე და Facebook გვერდზე დადებული სტატიებით.

სტუდენტებმა ასევე განაცხდეს, რომ მათ არ მიუღიათ შეტყობინება ან/და ელექტრონული ფოსტა სტაჟირებების, ვაკანსიების ან დასაქმებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაცია ასევე ვერ დაადასტურა ადმინისტრაციამ. უსდ ასევე არ ფლობს ინფორმაციას სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელთან დაკავშირებით.

დაწესებულებაში არსებობს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა, რის მიხედვითაც სტუდენტებს გაწერილი გრაფიკის შესაბამისად შეუძლიათ სემესტრის საფასურის გადახდა.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>სტუდენტური თვითმმართველობის დებულება<br>უსდ-ს ვებ-გვერდი<br>ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br>○ სტუდენტურითვითმმართველობაუნდაიყოსუფრომეტადაქტიურიდაცნობადიუსდ-ში.<br>○ უსდ-ში უნდ არსებობდეს კარიერული წინსვლისა და დასაქმების სამსახური<br>○ უსდ-მ უნდა უზრუნველყოს სტუდენტების დასაქმების სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და დამუშავება |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები,<br>რომლებიცდაწესებულებასშეუძლიაგაითვალისწინოსსაქმიანობისგასაუმჯობესებლად. |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 6. კვლევა, განვითარებაან/დასხვაშემოქმედებითისაქმიანობა

**უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.**

| **6.1 კვლევითისაქმიანობა** |
|---|
| ○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებსკვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.<br>○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.<br>○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** |
| **რეკომენდაციები** |
| **რჩევები:** |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6.2. კვლევისმხარდაჭერადაინტერნაციონალიზაცია**

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

**რეკომენდაციები**

**რჩევები:**

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება**

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

**რეკომენდაციები**

**რჩევები:**

| |
|---|
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 7.მატერიალური, საინფორმაციოდაფინანსურირესურსები

**უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.**

| **7.1 მატერიალურირესურსი** |
|---|
| ○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.<br>○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.<br>○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.<br>○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** |
| **რეკომენდაციები** |
| **რჩევები:** |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **7.2. საბიბლიოთეკორესურსები** |
| ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** |

| |
|---|
| **რეკომენდაციები** |
| **რჩევები:** |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **7.3 საინფორმაციორესურსი** |
| ○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.<br>○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.<br>○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** |
| **რეკომენდაციები** |
| **რჩევები:** |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **7.4 ფინანსურირესურსი** |
| ○ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.<br>○ უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.<br>○ უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.<br>○ უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება- |

| |
|---|
| განვითარების დაფინანსება.<br>○ უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** |
| **რეკომენდაციები** |
| **რჩევები:** |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:<br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## *დანართი№1:* უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

| № | პროგრამის დასახელება | სწავლების ენა | მისანიჭებელიკვალიფიკაცია (კვალიფიკაციისკოდით) | ECTS | პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული) | შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბიზნესისადმინისტრირება | ქართული | | | არააკრედიტებული | |
| 2 | ტურიზმი | ქართული | | | არააკრედიტებული | |
| 3 | მასობრივიკომუნიკაცია/ჟურნალისტიკა | ქართული | | | არააკრედიტებული | |
| 4 | ბიზნესისადმინისტრირება | ინგლისური | | | აკრედიტებული | |
| 5 | ფარმაცია | ქართული | | | არააკრედიტებული | |
| 6 | ფარმაცია | ინგლისური | | | არააკრედიტებული | |
| 7 | მენეჯმენტი | ქართული | | | არააკრედიტებული | |
| 8 | ფინანსები | ქართული | | | არააკრედიტებული | |
| 9 | კომპიუტინგი | ქართული | | | არააკრედიტებული | |
| 10 | საერთაშორისოურთიერთობები | ქართული | | | აკრედიტებული | შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თარიღი - 19.07.2016, #6, https://eqe.ge/res/docs/Oqmi_N6_ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 19.07.2016.pdf<br><br>შპს უმაღლესი სასწავლებელ განათლების აკადემიის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თარიღი 19.08.2016, # 108 https://eqe.ge/res/docs/Oqmi_N12_19.08.2016.pdf |
| 11 | ჯანდაცვისმენეჯმენტი | ქართული | | | არააკრედიტებული | |
| 12 | სამართალი | ქართული | | | აკრედიტებული | 19.11.2014, # 206, https://eqe.ge/res/docs/Oqmi_N25_19.11.2014.pdf |